

## „ევანგელისტური ეკლესია“ საქართველოში

ტერმინი „ევანგელისტური“, როგორც ქრისტიანთა ჯგუფის სახელწოდება, რეფორმაციის დროს წარმოიშვა( ბერძნულიდან Evangelion-კეთილი უწყება), მიუთითებს სახარებისეულ საწყისებზე. მათთვის სახარება არ წარმოადგენს მარტო ქადაგების საგანს, იგი აზროვნებისა და ცხოვრების ცენტრია.

1846 წელს ლონდონში შეიკრიბნენ ქრისტიანები ათი სხვადასხვა ქვეყნიდან და პირველი „ევანგელური ალიანსი“ ჩამოაყალიბეს, რომელიც ქრისტიანთა ერთობის ხელშემწყობი ორგანიზაცია უნდა ყოფილიყო. ეს იყო დასაწყისი მოძრაობისა, რომელიც 1851 წელს დაფუძნდა. ამ წელს 21 ქვეყნის მორწმუნეებმა ჩამოაყალიბეს „მსოფლიო ევანგელისტური ალიანსი“(„მეა“), რომელშიც ამჟამად გაერთიანებულია 127 ქვეყნის 420 მლნ. ქრისტიანი.

საქართველოში ევანგელისტური ეკლესია 1914 წელს დაფუძნდა მცირე აზიიდან შემოსული მისიონერის დევიდ ურშანის მიერ.

მრწამსი: სწამთ წმინდა სამება, წმინდა წერილი. აღიარებენ ნათლობის 2 ფორმას: წყლით და სულიწმინდით.

საქართველოში „ევანგელისტური ეკლესია“ დღესდღეობით 150 მიმდევარი ჰყავს.